

მედი

# 9

პირველი



ჩვენი ზედი ზედი ბავშვთა  
საქართველო, როგორც ყველა მათგან!

მედი

# 1

საქართველო



ლომლით გზავნით პირველით,  
ვარდ-ყვავილებით კარგა აივსო!

მედი

# 5

საქართველო



გაზეთის გაზეთი ვხვდებით ხეივანში,  
ვხვდებით სიმაღლეებს და ვყვარდებით.

მედი

# 7

საქართველო



ქვემოთ ჩვენი პირველი ვაიხობთ,  
მედი რაღაც უფრო მათგან!

საქართველო

# ს ი ა ნ ბ ი

# ერთი სახლის ამბავი



ივლისი იწურებოდა. ძალზე ცხელოდა იმ ღამეს. დიდხანს ვშფოთავდი, მაგ-  
რამ ვერ დავიძინე. ხან ავდგებოდი, ხან დავწვებოდი, თვა-  
ლებს ვხუჭავდი, ძილს ვუხმობდი და ვემუდარებოდი. არ მახ-  
სოვს, როდის წამილო ძილმა, უტკბილესი სიზმარი კი დამა-  
ხსოვდა: ქირქილებს გრილი ნიავი, მეფერება, გამოუთქმელი  
ბედნიერებით მავსებს და იავნანას მიგალობს. ნეტარებაში  
მყოფს გამომეღვიძა, წამოვიწიე და გავოცდი. ზეწარი სველი  
იყო, სველი ვიყავი მეც. ოთახში უცნაური ხმაური ისმოდა,  
თითქოს წვიმდა. ვილაც უხილავი წყალს მასხურებდა. ლოგინ-  
ზე ჩამოვცურდი, წყალში ვკარი ფეხი და თავზარი დამეცა.  
„სადა ვარ?“ — შევეკითხე ჩემს თავს. — „ნუთუ მძინარე გა-  
მიტაცეს და ზეწრიანად ჭაობში ჩამავდეს?..“

ოთახში უცებ იგრიალა რალაცამ და უეცარმა შიშმა  
ამიტანა, სველი ზეწარი თავზე გადავიფარე და გათენებამდე  
გატრუნული ვიყავი. დილით ელდა მეცა: ოთახში კოქებამდე  
წყალი იდგა, ქერი ჩამონგრეულიყო, გაჯის უშველებელი ნა-  
ტეხები ძირს ეყარა. ცალი ფეხსაცმელი ხომალდივით დაცუ-  
რავდა წყალზე, ცალს კი სიცოცხლეზე ხელი აეღო და ჩაძი-  
რულიყო. ჩემი შეყვარებული შავგვრემანი ქალიშვილის დიდი  
პორტრეტი წაგიდიდან გადმოფარდნილიყო და ტივტივებდა.



ვეცი სურათს, ხელი სათუთად გადავუსვი, რომ წყალი შომე-  
შორებინა. ქალიშვილის სახე წაიშალა და ხელთ შემრჩა სვე-  
ლი, ლაქიანი ქალღი. სასწრაფოდ ჩავიცვი, სახლმმართვე-  
ლობისაკენ გავეშურე.

— რაშია საქმე? — ყვირილით მივმართე ინჟინერს,  
— თქვენ მარწმუნებდით, რომ სახურავი შეკეთებულია, ჩემი  
ოთახი კი აივსო წყლით. რას გავს ეს, მე თქვენ გეკითხებით?  
ინჟინერს წარბიცი არ შეუხრია, მშვიდად შემომცქეროდა  
მეოცნებე, ოდნავ სევდიანი თვალებით.

— თუ არ ვცდები, ალექსანდრე ჭავჭავაძის ქუჩაზე  
ცხოვრობთ, ათ ნომერში!



— დიახ.  
— სახურავი შევუკეთეთ, შევლებით კიდევ. დამშვიდდით,  
ტყუილად ლელავთ. ხომ გრძნობთ, რომ საშინელი სიცხეა?  
— რა თქმა უნდა, ვგრძნობ.  
— ჰოდა, ამ სიცხემ ალბათ დაადნო თუნუქი, ამიტომაც  
დასველდით.

— რას ბოდავთ, ბავშვი ხომ არ გგონივართ? — უფრო  
გავცხარდი და ხმას ავუწიე. — რას მიქვია თუნუქის დადნობა?  
— თუნუქი თუ არა, საგოზავი დაიშლებოდა, ან დადნე-  
ბოდა, ეს სულ ერთია. ფაქტი ის არის, რომ ყველაფერში

დამნაშავეა სიცხე. აქ ოპერა როდია, რომ ხმას ასე უმაღლებთ.  
წაბრძანდით, ამ მოკლე ხანში ხელოსნებს გამოგვზავნით და  
ყველაფერი რიგზე იქნება.

მას შემდეგ განვლო სამმა თვემ. პართლაც მოვიდნენ  
ხელოსნები, მოიტანეს გაჯი, ხარაჩოები და თქვეს: ქერი უნდა  
შევაკეთოთ და გაჯით შევლესოთ.

— რა აზრი აქვს ქერის შეკეთებას, როცა სახურავში  
ატანს წვიმა? ჯერ სახურავი უნდა მოიყვანოთ წესრიგში, მერე  
კი ქერი.



— ინჟინერმა ასე ბრძანა: სიტყვის კაცი ვარ, სიტყვას  
ვერ გავტებ, რაკი შევპირდი, ახლა ქერი შევლესოთ გაჯით,  
ხოლო სახურავს — დარი რომ დადგება მაშინ შევარემონ-  
ტებთ, ჯერჯერობით საშუალება არა გვაქვს, თუნუქი არ მი-  
გვიღია!..

— ეს შეუძლებელია! — აღვშოთიდი მე.  
ხელოსნებს ჩაეცინათ და მიპასუხეს:

— რაც გვიბრძანეს ის უნდა გავაკეთოთ. ინჟინერმა  
გვითხრა: ქერს რომ შევლესავთ გაჯით, ზედ მიმინოები და  
კურდღლები დახატეთო, მოზინადრე მონადირეა და კმაყოფი-



ლი დარჩებაო.  
ხელოსნები წავიდნენ და კარგა ხანს აღარ გამოჩნილან.  
ფანჯრებთან დადგმული ხარაჩოები ოთახს მიბნელებდა, იქვე  
ბლომად დაყრილი გაჯი ედებოდა ყველაფერს და ატუქყიანებდა.  
სამსახურიდან როცა ვბრუნდებოდი, აშკარად ვატყობდი,  
რომ გაჯი კლებულობდა.

ერთხელ, ქუჩაში თვალი მოვკარი ინჟინერს და ვუთხარი:  
— რატომ არ მოდიხართ? გაჯს თანდათან აკლდება, ვერ  
გამიგია რაშია საქმე. ხომ არ ეზიდებით?

— არა, ქაჯან, გაჯთან რა საქმე გვაქვს, აბა სად წავი-  
ლებთ! თქვენ თვითონ გაგინიავებიათ, ხომ ხედავთ ოთახებში  
და კიბეებზე ყველგან თქვენი ნაფეხურები აჩნია. ამ მოკლე  
დროში მოვალთ თქვენთან და საქმეს მოვაგვარებთ...  
აპრილი დადგა. ერთ დღეს სამსახურში ცუდად შევიქენ  
და შინ აღრე დავბრუნდი. ორი მუშა გაჯს ტომარაში ყრიდა.

— სად მიგაქვთ გაჯი?  
— ინჟინრის ბრძანებაა, რომ ეს გაჯი სხვა სახლში წა-  
ვილოთ, ვინაიდან თქვენს ბინას მეტად ატუქყიანებს... ინჟი-  
ნერს უნდა პატივი გცეთ და თქვენი სურვილის თანახმად ჯერ  
სახურავის შეკეთება დააჩქაროს.

ახლა გაზაფხულია, წვიმა ძველებურად ატანს სახურავში,  
ფანჯრების წინ ყანჩებივით აზიდულ ხარაჩოებს ხავსი ედება.  
ინჟინერი კი კვლავ მპირდება: ამ მოკლე ხანში შეგიკეთებთ  
სახურავს... მე თქვენი დიდი პატივისმცემელი ვარ, დილიდან  
სალამომდგ თქვენზე ვფიქრობ...

ანდრო ლომიძე



მოლობილ ეზოში მოკრძალებით შევედი.  
— სად არის სოფელ ღარისთავის კოლმეურნეობის კანტორა?  
მიმასწავლეს.  
კარების გაკრიალება ძლივს მოვასწარი, რომ კანტორის შიგნიდან გამოშავალმა საუბარმა შემაჩერა:  
— ქაჩმაზოვ, მაშ შენ ამბობ, რომ ჩვენი ბუხპალტერი ცულად აღრიცხავს?  
— დიახ, შენი ჭირიმე, როცა სათესლე წავიდე სესხათა, მაშინაც დამაწერეს, როცა დავაბრუნე— მაშინაცა!.. უპ, უპ, ლობიო გადმოვიდა, მოიცა, ქოთანს მოეხდი...  
— მოხადე, ქაჩმაზოვ, მოხადე და ციცხვიც მოუბრე...  
მაშ ბუხპალტერს ორჯერ დაუწერია?  
— ორჯერა, შენი ჭირიმე... ნიორიც დავნაყო?  
— დანაყე, დანაყე, ქინძიც ჩააყოლე... მაშ უნდა შევამოწმობო სათესლის ამბავი...  
— აკი მეც იმას გეუბნებოდი... უყურე ამ ტიელასა, კრუხი ამოძვრა ქალათიდან. ჩაჯექ, კრუხო, ჩაჯექ, კუტ, კუტ, კუტ!  
— შრომადღებები ხომ გინგარიშა?... უყურე, ქონი დადნა და ბოლი ადის, გადმოდგი ტაფაი!  
— მიანგარიშა, მაგრაშა... აცხა, კატავ, შე სატიალევი!  
— ბრის, კატავ! აჰა, ეგვეც შენა...  
და უცებ ნასროლმა შეშის ნაჭერმა ლუმელიდან რაღაცა გადმოაგდო, იატაკზე რაღაცამ ჩხრიალი მოიღო, შეშინებული ხეაღრის რაიონის სოფ. ღარისთავის ხრუშოვის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარე პეტრე ხუბეჯოვი, მერე— რიგითი კოლმეურნე, რომელსაც დილაღში ხუბეჯოვი „ქაჩმაზოვად“ იხსენიებდა.  
პეტრე განცვიფრებით შემომაჩერდა, მე კი— კანტორის მორთულობით დაფეთებული თვალებს აქეთ-იქით ვაცეცებდი.  
შუა ოთახში, სქელი ტალახით დასერილ იატაკზე თუნუქის ლუმელი, ლუმელზე— მოშიშინე ქონის ნაჭერი, გვერდზე მიღებული, ამოხედილი ლობიოთი გვერდებშელსილი ქოთანის შიგ ჩაყუდებული გრძელი ციცხვით, თავმჯდომარის მაგიდის ასწორე ჩამოკიდული კალათი, რომელშიც კვერცხები აწყვავა და ზედ კრუხი ზის, ფანჯრის თავზე— საცერი და საწურავი, მაგიდაზე— როდინი, ქვასანაყი და ხორბლით სავსე გობი, ხოლო ბუხპალტერის მაგიდაზე— ძველი ვედრო და რამდენიმე შამფური, მაგიდის ქვეშ კი საკეცე და სხვა „ინვენტარი“.  
— სადა ვარ?— მორიდებით შევიკითხე ჩემზე არანაკლებ დაბნეულ თავმჯდომარეს.  
— ხრუშოვის სახელობის კოლმეურნეობის კანტორაში!  
— კი მაგრამ...  
— რაღა „მაგრამ“?— შემეკითხა თავმჯდომარე, — ალბათ, ეს ჩვენი ოჯახური მოწყობილობა გეჩოთირა, არა?  
— სწორე გითხრა, თითქმის ასეა...  
— ჩვენთანაც თითქმის ასეა, ჩემო კარგო, ზნაურის რაიონში, განა მარტო ჩვენს ღარისთავს აკლია კანტორის შენობა? რას იზამ?... ეს ქვაბები და ქოთნები კი ჩვენი არ გვეგონოს, ოღა ხასიფასია, იმის სახლში ვართ შემოხიზნული: დღისით ის კოლმეურნეობაშია, ჩვენ— მისი შინ არყოფნით ვსარგებლობთ და კოლმეურნეობის საქმეებს ვაწესრიგებთ, როგორც აღათი და წესია! ამით კმაყოფილიც არი ჩვენი სახლი-პატრონი, რადგანაც იმის კრუხს ჩვენ ვაქმევთ საკენკსა, ლობიოს რომ შესდგამს ქოთნითა— მოხარულს დავახვედრებთ, სტუმრები მოუვა— მოვასვენებთ ამ ტახტზედა.  
— კი მაგრამ...  
— რაღა „კი მაგრამ“, კაცო? ალბათ გინდა მითხრა— რატომ საკუთარი კანტორა არა აქვს კოლმეურნეობასაო? როგორ არა ჰქონდა, მაგრამა სკოლას ვასესხეთ...  
— როგორ? შენობა ასესხეთ? ეგ როგორ შეიძლება?  
— ამას რა შეიძლება უნდა, შე კაი კაცო? მეზობლობის საქმეა: მეზობელს საციქველს ხომ ვერ დავუქვრდი? ახლა იმათ ექნებათ და ისევ ჩავგასესხებენ, ხომ იცი „ძმა ძმისთვი-ნაო“?  
— რომ ვერ „ჩავასესხონ“?  
— რა ვუყოთ?  
— როგორ, თუ რა უყოთ? თქვენი მუშაობა არ ფერხდება?  
— მერე და, შე კაი კაცო, მაგას ვინ ჩივის, ან რა გვენადლეება? რევიზია აქ არ მოდის და კანტორაო!  
— როცა მოვა ხომ პასუხი უნდა გასცეთ, რატომ მუშაობთ სუსტად?  
— ამ ოჯახში ხან იმდენი სტუმრები მოდიან, რომ მუშაობასაც ვერ ვახერხებთ, განა ასეთ ობიექტურ მიზეზს არ ჩავვითვლიან? არა, შენ რას იტყვი, პა?  
რა უნდა მეტყვა? უფრო აჯობებდა ზნაურის რაიონის ხელმძღვანელი ორგანოები იმსჯელებდნენ იმ „ოჯახურობაზე“, რაც სოფ. ღარისთავის ხრუშოვის სახ. კოლმეურნეობის კრუხ-წინილიანი კანტორაში ხდება-მეთქი, — გავიფიქრე და გამოვბრუნდი.




— შენ რომ ასე უქმად ცდები, არის სოფლის ღადატი,— ყვავილებით აგივსია სამუშაო კადათი.

მენი დანდი რუსთაველებზე გამველეებს რომ სდარაჯობს, კოლმეურნე ახადგაზრდებს გვერდით უდგეს, არა სჯობს?!

— მართალი ხარ. და პროსპექტზე შენც ამაოვ ილდები. არაფერი დაგაკვდება შენც თუ მათთან იქნები.

# ქუდი დავდოთ, სამართალი ვქნათ



სახალხო მოსამართლე

სასამართლო პროცესს ალბათ დასწრებიხართ. დარბაზში შემოჰყავთ ბრალდებული და მისთვის განკუთვნილ სკამზე დააბრძანებენ. მახლობლებს გმინვა აღმოხდებათ და მდივანი განაცხადებს:

— სასამართლო მობრძანდება, ფეხზე ადექით!

დამსწრენი ფეხზე დგებიან და ამით განსაკუთრებულ პატივს სცემენ მართლმსაჯულებას, რომლის წინაშე, დიდი თუ პატარა, ყველა ერთია.

მაგრამ წარმოვიდგინოთ სასამართლოს ისეთი დარბაზი, სადაც პროცესის დაწყებიდან რამდენიმე ხნის შემდეგ დამსწრენი ფეხზე თავისით წამოდგებიან, რადგან დარბაზში კუბო შემოიტანეს. შემოიტანეს კუბო, სასამართლოს დარბაზში დაასვენეს და გაისმა ჭირისუფალთა ქვითინი. მოსამართლეს რასაკვირველია, შიში აიტანს: ბრალდებულის სკამზე ბანდიტი ზის და მისმა მეგობრებმა შეიძლება ტერორის ნიშნად მიუგზავნეს ეს არასასიამოვნო საქონელი. პროცესი შეწყდება და ბრალდებულს გულაჩუყებულს წაიყვანენ. მას გარდაცვლილის ჭირისუფალთა გოდებამ აუკვნესა გული.

სამგლოვიარო პროცესია სამ დღეს აცდენს სასამართლო პროცესს. შემდეგ კი მდივანი დასვენებული ხმით აცხადებს:

— სასამართლო გრძელდება, გთხოვთ დაბრძანდეთ!

შეიძლება ძალიანაც გიყვარდეთ რებუსის გამოყვანა, მკითხველო, მაგრამ ჩემი ფელეტონი ასეთ გართობას არ ითვალისწინებს. გარკვევისათვის მინდა მოგახსენოთ, რომ თბილისში, ელბაქიდის დაღმართზე მდებარე ორჯონიკიძის რაიონის პირველი უბნის სახალხო სასამართლოს სამუშაო ბინა სასამართლოს დარბაზზე გამველელ-გამომვლელ მცხოვრებლებით ალყა-შემორტყმული გახლავთ და როცა სასამართლოს დარბაზში რომელიმე რთული საქმე ირჩევა, ბრალდებულსა თუ მის მარწმუნებლებს ბნელად გვრის იქვე მოთუხთუხე ლობიოს ქოთნიდან მობერილი ქინძისა და რეჰანის სუნნელება.

\* \* \*

ახლა ერთი წუთით სტალინის რაიონის 1 უბნის სახალხო სასამართლოში შებრძანდით. ეს სასამართლო, თავის მოსამართლიანად 9 კვ. მეტრ ოთახშია მოთავსებული.

— მეზობელს ვუჩივი, თოთხმეტმეტრიანი ოთახი წამართვა, ძალით შემისახლდა. — ეუბნებით თქვენ.

— განა რამდენი ოთახი გქონდათ? — გეკითხებათ სახალხო მოსამართლე.

— სამი: ოცდაათმეტრიანი, ოციანი და თოთხმეტმეტრიანი.

— გავარჩევთ საქმეს, სასწრაფოდ დავნიშნავთ, ოლონდაც...

— ოლონდაც რა?

— თქვენს დიდ ოთახს თუ გვათხოვებთ პროცესის ჩასატარებლად.

თქვენ გაკვირვებული შეყურებთ მოსამართლეს და იგი ამ დროს ქოლგას შლის, რადგან ჭერიდან წვიმის თქეში წამოვიდა.

— რალა ახლა წამოვიდა ეს წვიმა! — თანაუგრძნობთ თქვენს სახალხო მოსამართლეს.

— ჩვენი კარგი ამინდი წვიმაა, ბატონო, — გეუბნებათ მოსამართლე, — წვიმის დროს ქოლგას მაინც ვიშველიებთ, თავს მშრალზე ვგრძნობთ. თქვენ მზიან ამინდში უნდა ნახოთ როგორ დროს ვატარებთ: ჩვენი შენობის თავზე ხომ ბანია და ეს ბანი ბავშვთა ფეხბურთის სტადიონს წარმოადგენს... პენალტ!.. ბოლიში, თქვენ მგონი ბინის შესახებ შემოგაქვთ საჩივარი.

\* \* \*

სასამართლო პროცესს ალბათ დასწრებიხართ.

დარბაზში შემოყავთ ბრალდებული და მისთვის განკუთვნილ სკამზე დააბრძანებენ. მის მახლობლებს გმინვა აღმოხდებათ და მდივანი განაცხადებს:

— სასამართლო მობრძანდება, ფეხზე ადექით!

დამსწრენი ფეხზე დგებიან და ამით განსაკუთრებულ პატივს სცემენ მართლმსაჯულებას, რომლის წინაშე, დიდი და პატარა, ყველა ერთია...

მართლმსაჯულებას პატივი უნდა სცეს თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის იმ განყოფილებამაც, რომელსაც ხსენებული სასამართლოები, მთავრობის დადგენილების თანახმად, რამდენიმე წლის წინათ უნდა დაექმაცოფილებინა სათანადო ბინის ფართობით.

ქუდი დავდოთ, სამართალი ვქნათ: სასამართლო განა ასე უსამართლოდ უნდა იყოს შევიწროებული?!

გ. კორინთელი

## ვინ მოიგებს?

ნახ. 5. ვალაკორიასი და 5. ჯობაძისა



— დღეს შეხვედრათ ფეხბურთში, საინტერესოა ვინ მოიგებს?

— ხილეთის გადაწყვიდელები.

## ავტობუსი

ნახ. ე. ცომიასი



— რაო, რაო? ღმერთო ჩემო, აქ ისეთი ხმაურია, რომ არაფერი მესმის... შენ თუ გესმის რაიმე, სულიკო... გესმის უველაფერი გესმის? მაშ რატომ ვერ გაიგე რას გელაპარაკები?.. რა ვქნა, მთელს ქუჩას მე ხომ ვერ დავაჩუმებ!..



როგორც კი გაზაფხულმა მარტისაგან ნასესხები მოილია და ენძელამ იას მოასწრო, სოფელ სხვიტორის მკვიდრი დ. ცქიტიშვილი ლირიკულ გუნებაზე დადგა და სევდიანად ჩაილაპარაკა:

— აფსუს, დათა ცქიტიშვილო, რომ აქ, სხვიტორის სოფლურ, ვიწრო ჩარჩოში ჩაქეტილხარ! გადაწყდა, საშოვარზე მივდივარ!..

დათას მეუღლეს გალინას ჯერ კი გაუჟვირდა, ასე უეცრად რომ ააცუნცრუკა ამხელა კაციო, მაგრამ რაკი ქმრისაგან კეთილი განზრახვის მეტი ვერაფერი მოისმინა, ორი შვილი დააფიცა და ორიოდვე გამოსათხოვარი ცრემლის ჩამოვარების შემდეგ დათა ფოთისაკენ გაისტუმრა.

დათამ საშოვარის ძებნა დაიწყო ფოთში...

იმ გაზაფხულზე რომ ზღვამ ნახევარი ადლით მოიმატა და ტალღებმა ნაპირი გადალესა, ფოთელები მხოლოდ დათას ცრემლებს მიაწერენ. ეს მოზღვავებული ცრემლები დათამ, თურმე, მასწავლებელ დულიკო ჯღარკაევს „ფერხთა წინაშე“ დააფრქვია. სიყვარულთან ერთად, ისიც აუხსნა, რომ ამქვეყნად, მის გარდა, არავინ გააჩნდა, პასპორტის გამოცვლის დროს ქორწინების აღუნიშვნელობით ისარგებლა და მმაჩის კარს მიუკაქუნა.

ასე და ამგვარად დათამ ფოთში ახალი ცოლი შეირთო, პირველი საშოვარი იშოვნა.

შოვნა—შოვნაა, მაგრამ მაღა ხომ ჰამაში მოდის! დათიკომ მაღე მოიწყინა ახალ მეუღლესთან და ახალმა მეუღლემ კი დათას მოწყენით ისე მოიწყინა, რომ შეუძლოდ შეიქნა და დათამაც მიზეზი იშოვნა ახალი საშოვარის საძებნელად.

— დულიკო, ჰირიმე, შენს ავადმყოფობას ბორჯომის გარდა არაფერი უშველის. წადი, გენაცვალე, დაისვენე, გამოჯანმრთელდი და შენი დათა გაახარე!

დულიკო ჯღარკაევა ბორჯომს გაემგზავრა და მით ნამდვილად გაახარა „თავისი“ დათა. ცქიტიშვილი კი ამჯერად

მოქ. ბ. ს-ს შეუჩნდა: „მოგიკვდეს დათიკო, თუ ოდესმე ვიდრე ლატოსო“ და რაკი პასპორტში ქორწინების ბეჭდის საღებავი ჯერ კიდევ არ გამშრალიყო, ცქიტიშვილმა უკვე მმაჩს აუხვია და არაოფიციალობისაკენ გადაუხვია.

რა ბედნიერი და ცხვარივით წყნარი იქნებოდა შავი ზღვა, ქვეყნად დათა ცქიტიშვილი რომ გაჩენილიყო! ის-ის იყო დათამ მორიგი ცოლის გასტუმრება მოასწრო, რომ მოქ. თ. ი-ანის წინ დაღერილმა ცრემლებმა ფოთში შემოსული გემები კვლავ შეატარებნა. გემები კი არა, ამდენმა თხოვა-გაშვებამ დათას მდგომარეობაც კი შეანჯღრია და ამდენი „ნაშოვარის“ შემდეგ იგი ბორჯომს ეწვია.

აქ უკვე მოქ. ნ. შ-ის დაუფრქვია ცრემლები:

— დათა მოგიკვდეს, თუ შენს მეტი საცოლეს გარდა სხვა სახელი გამეგონოს ქვეყანაზეო...

არ ვიცით მოქ. ნ. შ. როდის გაიგებს თუ იგი ცქიტიშვილის მერამდენე ცოლია, მაგრამ ჩვენ სხვა რამ გვანბნერესებს.

დათა ცქიტიშვილი „პროფესიით“ სასადილოს გამგეა. სასადილოდან—სასადილოში დახტის და სახელმწიფო ქონებას სასადილოს კერძოვით მიირთმევს.

ამ მხრივ, დათას ბიოგრაფია რამდენადმე ყურადღების ღირსია:

1952 წლის 16 თებერვალს ფოთში გაასამართლეს უფაქტურო საქონლით ვაჭრობისათვის.

ბორჯომში პასუხისგებაში მისცეს სასადილოდან საქონლის გატანისა და კერძო პირებზე ზედმეტ ფასებში მიყიდვისათვის.

იმავე ბორჯომში კიდევ პასუხისგებაში მისცეს სასადილოში კერძო პირების გაფორმების გარეშე მუშაობის გამო და...

და არაფერი... საშოვარზე ჩამოსული დათა ცქიტიშვილი კვლავ სასადილოს გამგეა. შოულობს,—უშვებს, შოულობს,—ხარჯავს.

300

დახასიათებ

ნახ. გ. ფირცხალავასი



54

— დახასიათება უნდა მომცეთ.  
— ააა!.. დაგჭირდით? დახასიათებას ითხოვთ? უფროსის მორიდება თქვენ არა გაქვთ, ყოველ კრებაზე მაკრიტიკებთ.  
რით „შეგამკოთ“, რა ჩავწერო შეგ?  
— სწორედ ეგ, ამხანაგო დირექტორო!



მოხდა ისე, რომ ზუგდიდის სასტუმროში ერთმანეთს შეხვდნენ როდინაულელი, მეორესვირელი და წითელხეველი. პირველი ორი—ხესტაფონის რაიონიდან იყო, მესამე—მაიაკოვსკის რაიონიდან.

შეხვდნენ და გადასწყვიტეს ზუგდიდში ყოფნის დროს ერთად ყოფილიყვნენ.

ასე იარეს ერთად, საქმეებიც ერთად მოაგვარეს და რადგან თავიანთ სოფლებში მეორე დღემდე ვერ წავიდოდნენ, დასასვენებლად ზუგდიდის შესანიშნავ ბაღში სკამზე ჩამოსხდნენ. გაზაფხულის თბილი მზე აცხუნებდა და ჰაერში განახლებული ბუნების მაცოცხლებელი სურნელი იდგა.

ბევრი ილაპარაკეს, ათას საკითხს შეეხენ... ბოლოს სიტყვა ღვინოზე ჩამოვარდა.

როდინაულელმა თავისი სოფლის ღვინის შესადარი საქართველოში მეორე ვერ მონახა, წითელხეველმა თავისი აქო, მეორესვირელს ამაყად გაელიმა და გამომწვევად შეხედა მოკამათებებს.

„მართალია, მეორე სვირიდან ვარ, — ამბობდა მისი გამოხედვა, — მაგრამ მაინც სვირიდან ვარ და ჩემი თანდასწრებით განა შეიძლება სხვა ღვინოების ქებაო!..“

ბევრი იკამათეს, თუ ცოტა იკამათეს, მაინც ვერაფერზე შეთანხმდნენ. საბოლოოდ ასე გადასწყვიტეს: „რალა შორს წავიდეთ, ბარემ აქვე, ზუგდიდში შევამოწმოთ ჩვენგანის სიმართლეო“. ეს ამბავი კი დიდ სიძნელეს არ წარმოადგენდა, რადგან მათ კოლმეურნეობებს ზუგდიდში ღვინის საკუთარი წერტილები მოეპოვებათ.

დანაძლევენ და გზას გაუდგნენ.

პირველად როდინაულის კოლმეურნეობის ღვინის წერტილს გამგეს ა. მოდებაძეს ესტუმრენ. როდინაულელმა დიდი ამბით ღვინო ჩამოასხმევინა, თანმხლებლებს კიქებში დაუსხა, თავისიც შეავსო და მოლოდინით გაინაბა.

მონაძლევეებმა ღვინო რომ გადაჰკრეს, სახე საოცრად დაეღმანჭათ და შემდეგ ისეთი ხარხარი ასტეხეს, რომ სულს ძლივს იბრუნებდნენ.

„ალბათ ძალაათი აკეთებენ, თორემ ჩვენებური ღვინის დამწუნებელი ჯერ არავინ ყოფილაო“, — გაიფიქრა როდინაულელმა და ახლა თვითონ გადაჰკრა... გადაჰკრა და გაუცხებულა...

ლილმა და ახლა თვითონ გადაჰკრა... გადაჰკრა და გაუცხებულა... ლილმა და ახლა თვითონ გადაჰკრა... გადაჰკრა და გაუცხებულა... ლილმა და ახლა თვითონ გადაჰკრა... გადაჰკრა და გაუცხებულა...

ამის შემდეგ წითელხევის წერტილში მივიდნენ.

იქ უარესი ამბავი განმეორდა. როდინაულელის სარდაფის ღვინო გაქირვებით თუ დაილეოდა მაინც, წითელხევის ღვინოს პირს ვერ მიაკარებდით. ის რალაც განსაკუთრებულად უგემური და გულისამრევი იყო. ახლა ნიშნის მოგებით ყველაზე მეტად როდინაულელი იცინოდა. წითელხეველს რა ეთქმოდა, თავისი სოფლის ღვინის წერტილს საქმოსნებს ლაზათიანად შეუკურთხა და სირცხვილით დასტოვა ის ადგილი.

ბოლოს მეორე-სვირის სარდაფისკენ გაემართნენ. რადგან საკმაოდ მოშიებოდნენ, გზაზე ცოტაოდენი საუზმე იყიდეს და მეორე სვირის ღვინის წერტილს გამგეს ვ. ჯულელს მიადგნენ.

სარდაფის კედელზე ჩამოკიდული იყო განცხადება: „ღვინო იყიდება მხოლოდ გატანით“. შეცბუნდნენ ახალმოსულები და გადასწყვიტეს თავიანთი სანოვაგე არ გამოეჩინათ, მაგრამ თვალის რომ სიბნელეს შეაჩვიეს, დაინახეს რომ ყოველ კასრთან ქეიფი იყო გაჩაღებული. ამიტომ ისინიც ერთ-ერთ თავისუფალ კასრთან თავისუფლად მოთავსდნენ.


წინასწარ ზეიმობდა გამარჯვებას სვირელი. მაგრამ რაც მათ ამ სარდაფში ნახეს, ყოველგვარ მოლოდინს გადააჰარბა, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ ახლა წითელხეველი და როდინაულელი იცინოდნენ, ხოლო სვირელს სიმწრის ოფლი სდიოდა. რალა ეთქმოდა, იმანაც ღვინის წერტილს საქმოსნებს ლაზათიანად შეუკურთხა და სირცხვილით დასტოვა ის ადგილი...

ჩვენ კი ვფიქრობთ, სირცხვილისგან სიმწრის ოფლი მათ მაგივრად იმ ღვინის წერტილს გამგეებს უნდა სდიოდეთ, რომლებიც შესანიშნავი ქართული ღვინის სახელით ასაღებენ ყოველად უგემურ, უჟერულ და გულისამრეველ სასმელ სითხეს...

გ. ალავეიძე

ზ უ გ დ ი დ ის ა ვ გ ო ბ უ ს ი

ნახ. დონისა



მეტად ვაოცებულია ამხანავი ცხენი, თავის ზურგით მოუტანა ზუგდიდელებს ძღვენი!

სადღა არის სიყვარული და პატივი ძველი, — უგულობამ სინანულით აუთრთოლა წელი!

ხედავს, გზაზე როგორ შედგა ავტობუსი მათი, შიგ პატივით შეფრთხილდა ქათამი და ბატი.

თეთრი თხაც კი აკიანდა ფანჯარასთან ლხენით. ავტობუსის კარებგარეთ დარჩა მხოლოდ ცხენი.

გაწაფულდა. თბილისშიაც ველით ვარდს და ველით იას.  
კვარტალური გეგმით უკვე შეუცვლია სახე ლიას.

ნახ. თ. მახინაძე



ლიას ლაბორატორიული  
შრომის დიდი ხალისი აქვს.



ცოდნის წყაროს დაეწაფა,  
მის წინ მთელი პარიზია!



გამოცდებიც ჩააბარა  
დოცენტს, მალაღნაზისხიანს...



ბოლოს გამოცდილებასაც  
უზიარებს თავისიანს.  
დელი-ოდილავეამ

რედაქტორი კ ა რ ლ ო კ ა ლ ა ძ ე. სარედაქციო კოლეგია: გრ. აბაშიძე, აკ. ბელიაშვილი,  
ი. გრიშაშვილი, უჩა ჯაფარიძე, ი. ნონეშვილი, ს. ფაშალიშვილი.

თბილისი. სატირიკო-იუმორისტული ჟურნალი „ნიათგა“. რედაქციის მისამართი: რუსთაველის პროსპ. № 42. ტელ. 8-10-49.  
გამომც. № 8, ხელმოწ. დასაბ. 21 /IV-1954 წ. ქაღ. ზომა 70x108 1/8, 0,5, ნაბ. ფურც. 1,37. ზარია ვოსტოკას სტამბა, რუსთაველის პროსპ. № 42.  
შეკვ. № 1074 უფ. 02917 ტირ. 15.000

ამერიკული რჩევა-ღარიბება

როგორც უოუშმანი ფრანგი ბანკირის,  
 ყურის ბარტყუნი ტახსინის ვირის,  
 ისე გულისტყმა სტერლინგის გმირის —  
 პროვოკაციას აუტაცია!  
 ამერიკელი ძიაც კაცია,  
 წუთს არ დასტოვებს უგასაპიროდ:  
 — შემოიტანეთ ჩემს ბანკში, — ყვირის, —  
 მარაგი ფრანკის, სტერლინგის, ლირის,  
 თუ გსურთ მოსპობას გადაარჩინოთ!  
 გოგოთურ მიზრიაული

